ბერნარდ უტიე

ბერნარ უტიე დაიბადა პარიზში, 1941 წლის 4 ივლისს, მთარგმნელების ოჯახში. კლასიკური განათლების მიღებისა და თეოლოგიის შესწავლის შემდეგ, შეისწავლა აღმოსავლეთის ქრისტიანთა ენები და სამეცნიერო კვლევის ეროვნულ ცენტრში (1988-2013) განაგრძო კვლევითი საქმიანობა გიორგი შარაშიძესთან.

1975 წელს იგი პირველად ელენე მეტრეველმა მოიწვია საქართველოში, კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში და, მას შემდეგ, მეცნიერი თითქმის ყოველწლიურად ჩამოდიოდა ქართულ ხელნაწერებზე სამუშაოდ. 1978-1984 წლებში იყო ჟურნალ „ბედი ქართლისას“ რედაქტორი. 1999 წელს მიენიჭა სამეცნიერო ხარისხი. ბერნარ უტიე არის 270-ზე მეტი წიგნისა და სტატიის ავტორი, მისი კვლევები ძირითადად სირიულ, სომხურ და ქართულ ქრისტიანულ ხელნაწერებსა და ლიტერატურას ეხება. იგი მუშაობდა იერუსალიმში, სინის წმინდა ეკატერინეს სახელობის მონასტერში; თანამშრომლობდა პროფ. იოსტ გიპერტთან - მათ ათონის მთაზე, ივირონის მონასტერში, მოამზადეს ქართული ხელნაწერების კატალოგი (ბეჭდური სახით). იგი ძველ ქართულს ასწავლიდა პარიზის კათოლიკურ უნივერსიტეტში (2004-2011), ამჟამად ასწავლის მადრიდის სან-დამასოს უნივერსიტეტში (2014-).

ბერნარ უტიე არის საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის უცხოელი წევრი (1996), ასევე გელათის მეცნიერებათა აკადემიისა (2002) და Accademia Ambrosiana-ის წევრი. ის არის ფრიბურგის უნივერსიტეტისა (შვეიცარია, 1984) და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საპატიო დოქტორი (2009). ბერნარ უტიე დაჯილდოებულია „ოქროს საწმისის“ ორდენით საქართველოს პრეზიდენტის მიერ (2021).